



ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების განცხადება სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მკვლევლობებთან დაკავშირებით



სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 11.03.2025. ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალურმა განყოფილებამ განცხადება გაავრცელა სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მკვლევლობებთან დაკავშირებით.

სირიის მიწაზე, სადაც ბოლო წლებში ბევრი სისხლი დაიღვარა გარედან წამოწყებული და მხარდაჭერილი ხანგრძლივი სამოქალაქო კონფლიქტის შედეგად, მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვა გრძელდება.

შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებმაც ისარგებლეს იარაღის გამოყენების უფლებით კანონიერი დასაბუთებისა და ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე, დაიწყეს ეთნიკური და

რელიგიური ჯგუფების მასობრივი დევნა და მკვლელობა, მათ შორის, ალავიტების, მუსულმანებისა და ქრისტიანების.

ტერორის საფუძვლად წამოყენებულია ბრალდებები სირიის ახალ ხელისუფლებასთან მიმართებით არალოიალურობასა და მუქარაში. მსგავსი არგუმენტები დამაჯერებლობას კარგავს იმ ვითარებაში, როდესაც ფიქსირდება უიარალო ადამიანების, ბავშვებისა და მოხუცების მკვლელობის უამრავი შემთხვევა. ყველა საფუძველი არსებობს იმის საფარაუდოდ, რომ დევნა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით მიმდინარეობს.

2025 წლის 8 მარტს დამასკოს სამი ქრისტიანული ეკლესიის პატრიარქებმა **გაავრცელეს ერთობლივი განცხადება**, რომელსაც ხელს აწერენ ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი იოანე X; სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის მეთაური, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი მარ ეგნატე ეფრემ II; მელკის ეკლესიის პატრიარქი იუსეფ I აბსი. ქვეყნის ეკლესიის წინამძღვრები ერთხმად ამონებდნენ „უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მკვლელობებს“.

საჯარო სივრცე სავსეა ვიდეოკადრებით, სადაც ნაჩვენებია უდანაშაულო ადამიანების გაუსამართლებელი მკვლელობები, რომლებიც ჩადენილია განსაკუთრებული ცინიზმით და დაცინვით. ქრისტიანები მთელს მსოფლიოში, ისევე როგორც სხვა ტრადიციული რელიგიის მორწმუნეები, ხმას იმაღლებენ ჩადენილი უკანონობის წინააღმდეგ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სოლიდარობას უცხადებს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ექსტრემისტების სამიზნე გახდნენ, რომელთაგან ბევრი სირიაში ჩავიდა უპრეცედენტო სისასტიკის, მკვლელობის, ძარცვისა და ტერორისტული ქმედებების ჩასადენად.

ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო სახელმწიფოების ლიდერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და რელიგიური თემების მეთაურებს ერთობლივი ქმედებებით შეაჩერონ უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა და სირიაში დააბრუნონ დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა და თანხმობა.

საზოგადოებასთან და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური დეპარტამენტი/

Патриархия.ru

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/92956/>